საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აპოლონ ქუთათელაძის
სახელობის სახელმწიფო სამხატვრო
აკადემია

Legal Entity of Public Law
APOLLON KUTATELADZE TBILISI
STATE ACADEMY OF ART

KA000041277034524

ბრძანება

№ 51-ს/ხ

18 / ივლისი / 2024 წ.

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფაკულტეტებზე შიდა მობილობისათვის განკუთვნილი ვაკანტური ადგილების რაოდენობისა და წინაპირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 16 მაისის № 05/84 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის -თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის“ (შემდგომში - აკადემია) წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანების N1 დანართის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტისა და 51 მუხლის და აკადემიის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 30 ნოემბრის სხდომაზე (N37 ოქმი) დამტკიცებული აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისმე-14 მუხლის 14.1. პუნქტის თანახმად,

ვბრძანებ:

1.დამტკიცდეს აკადემიის ფაკულტეტებზე 2024-25 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შიდა მობილობისათვის განკუთვნილი ვაკანტური ადგილები და მიღების წინაპირობები:

ა) დიზაინის ფაკულტეტი:

ა.ა) ბაკალავრიატი:

ა.ა.ა) აკადემიურ პროგრამაზე მიღების წინაპირობა - პორტფოლიო, გამოცდა კომპოზიციაში;

ა.ა.ბ) რაოდენობები:

ტექსტილის დიზაინი -3 ადგილი;

მხატვრული მინა -3 ადგილი;

მხატვრული კერამიკა - 3 ადგილი;

სამრეწველო დიზაინი -3 ადგილი;

ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავება -3 ადგილი;

საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება - 2 ადგილი;

ა.ა.გ) აკადემიურ პროგრამაზე მიღების წინაპირობა - პორტფოლიო, გასაუბრება, გამოცდა;

მოდის დიზაინი - 5 ადგილი.

ა.ბ) მაგისტრატურა:

ა.ბ.ა) აკადემიურ პროგრამაზე მიღების წინაპირობა -პორტფოლიო, გამოცდა კომპოზიციაში;

მხატვრული კერამიკა - 1 ადგილი.

ბ) არქიტექტურის ფაკულტეტი:

ბ.ა) ბაკალავრიატი:

ბ.ა.ა) აკადემიურ პროგრამაზე მიღების წინაპირობა: ნულოვანი კრედიტის შემთხვევაში გამოცდა ხაზვაში, ხოლო აღიარებული კრედიტების შემთხვევაში გამოცდა კლაუზურა მოცემულ თემაზე;

ბ.ა.ბ) რაოდენობები:

არქიტექტურა - 12 ადგილი;

ინტერიერის დიზაინი -12 ადგილი.

ბ.ბ) მაგისტრატურა:

ბ.ბ.ა) აკადემიურ პროგრამაზე მიღების წინაპირობა: ნულოვანი კრედიტის შემთხვევაში გამოცდა ხაზვაში, ხოლო აღიარებული კრედიტების შემთხვევაში გამოცდა კლაუზურა მოცემულ თემაზე;

სამოქალაქო არქიტექტურა - 2 ადგილი.

გ) მედიახელოვნების ფაკულტეტი:

გ.ა) ბაკალავრიატი:

გ.ა.ა) აკადემიურ პროგრამაზე მიღების წინაპირობა: გამოცდა კომპოზიციაში

გ.ა.ბ) რაოდენობები:

მედიახელოვნება/ციფრული მედია - 4 ადგილი;

გრაფიკული დიზაინი - 3 ადგილი;

ფოტოხელოვნება - 1 ადგილი.

დ) სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი:

დ.ა) ბაკალავრიატი:

დ.ა.ა) აკადემიურ პროგრამაზე მიღების წინაპირობა - გამოცდა ხატვაში;

დ.ა.ბ) რაოდენობები:

ფერწერა - 4 ადგილი;

გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება - 4 ადგილი;

ვიზუალური ხელოვნება - 3 ადგილი;

ქანდაკება - 2 ადგილი.

დ.ბ) მაგისტრატურა:

დ.ბ.ა) აკადემიურ პროგრამაზე მიღების წინაპირობა - გამოცდა ხატვაში;

ფერწერა - 2 ადგილი;

გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება - 2 ადგილი;

თეატრის მხატვრობა (სცენოგრაფიის ხელოვნება) - 2 ადგილი;

ქანდაკება - 2 ადგილი.

2.სტუდენტები, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაირიცხნენ 2020 და შემდგომი წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე და სურთ მობილობით სარგებლობა, უნდა აკმაყოფილებდნენ მიმღები პროგრამის დაშვების წინაპირობებს და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული უნდა ჰქონდეთ შესაბამისი სავალდებულო საგანი/საგნები (გადალახული უნდა ჰქონდეს მინიმალური კომპეტენციისზღვარი).

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი№64).

საფუძველი:

აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომის 2024 წლის 17 ივლისის სხდომის N49 ოქმით მიღებული გადაწყვეტილება, აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანის ირაკლი პირმისაშვილის 2024 წლის 17 ივლისის N1254/11 სამსახურებრივი ბარათი, აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მეგი წითლიძის 2024 წლის 17 ივლისის N1259/10 სამსახურებრივი ბარათი; აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის დეკანის თამარ ხუნდაძის 2024 წლის 3 ივლისის N1194/13 სამსახურებრივი ბარათი; აკადემიის დიზაინის ფაკულტეტის დეკანის გიორგი იაშვილის 2024 წლის 4 ივლისის N1195/12 სამსახურებრივი ბარათი; აკადემიის მედიახელოვნების ფაკულტეტის დეკანის ნანა იაშვილის 2024 წლის 2 ივლისის N1186/14 სამსახურებრივი ბარათი.

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ყარამან ქუთათელაძე